

၁၆၆

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანიაკვალიფიციური კადრიმომზადება, რომელიც შეძლებს ადრეულ და სკოლამდელ ასაკში ბავშვზეზრუნვას, მის აღზრდას და განვითარებას. ამ მიზნებისთვის აღმზრდელმა უნდა უზრუნველყოს უსაფრთხო და განმავითარებელი სააღმზრდელო გარემო და ამ პროცესში შეძლოს ბავშვის ოჯახთან,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების კოლექტივთან, სფეროსწარმომადგენლებთან კომუნიკაცია და საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა- სრული ზოგადი განათლება.

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს აღმზრდელის პოზიციაზე, ასევე იმუშაოს თვითდასაქმებით, აღმზრდელად.

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგება: 3 ზოგადი სავალდებულო მოდულისაგან, ჯამში 11 კრედიტის მოცულობით, პროფესიული/დარგობრივი მოდულისაგან, ჯამში 105 კრედიტის მოცულობით, სულ – პროგრამა შეადგენს 116 კრედიტს.

იმ პირებისთვის, რომელთაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

მოცულობა: 145 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 27 სასწავლო თვე

იმ პირებისთვის, რომელთაც უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია

მოცულობა: 116 კრედიტი

სავარაუდო ხანგრძლივობა: 21 სასწავლო თვე

სწავლის შედეგები

აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- ა) ადრეული და სკოლამდელი ასაკის ბავშვის ჰოლისტური განვითარება, მათი ასაკობრივი თავისებურებების, ინტერესების, ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით;
- ბ) მრავალფეროვანი, მასტიმულირებელი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის დაგეგმვა და მართვა;
- გ) ბავშვის განვითარების ხელშემწყობი სტრატეგიების გამოყენება;
- დ) წარმატებული, უსაფრთხო, მხარდამჭერი სააღმზრდელო გარემოს შექმნა;

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

1. კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.
2. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:
 - ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
 - ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება განათლების და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით;
 - გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.
3. არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი **ორი ტიპის შეფასებას**
 - ა) სწავლის შედეგი დადასტურდა
 - ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება

სკოლამდელ აღზრდაში მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული 116 კრედიტი. ხოლო იმ პირებმა, ვისაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, უნდა დააგროვონ 146 კრედიტი.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება

1. ამ დანართის მე-7 მუხლით გათვალისწინებული მოდულებზე დაშვების წინაპირობები არ ვრცელდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე.

2. პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების

დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია – ამ დანართის მე-11 მუხლით გათვალისწინებული წესით.